

„მწვანე კავკასია“ პირველი უფლებადამცველი

ორგანიზაციაა ქვემო ქართლის რეგიონში

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მწვანე კავკასია“ დაარსდა ქ.თეთრიწყაროში 1999 წლის 18 ივლისს. მისი დაფუძნება დაკავშირებულია მანგანუმის მადნის ღია კარიერული წესით მოპოვების პრობლემით გამოწვეულ გარემოსდაცვით აქტივობასთან.



თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მანგანუმის, იშვიათი და ძვირფასი ლითონების შემცველი მცირე საბადოებია. XIX საუკუნის დასასრულს ჩხიკვთის მემამულენი ი.ვ. საგინოვმა სამების მთის წიაღში აღმოაჩინა მანგანუმის მადანი და დაიწყო მისი მოპოვება. XX საუკუნის დასაწყისში ადგილობრივი მკვიდრის კანაკოვის მიერ დაიხვერა მანგანუმის მადანი სოფელ სამშვილდის მახლობლად.

ამავე პერიოდში ხდებოდა მანგანუმის მოპოვება სოფელ არდისუბნის მახლობლად. საბჭოთა პერიოდში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მანგანუმის მოპოვება არ ხდებოდა, თუმცა 1964-1965 წლებში ჩატარებული გეოლოგიური დაძიებებით გამოიკვლიეს კიდევ ოთხი მადანგამოვლინება.

1999 წლის 26 იანვარს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში რეგისტრაცია გაიარა შპს სამთო კომპანია „ალგეთი“. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, საზოგადოების საქმიანობის სახეა წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება¹. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საბჭოს 1999 წლის 5 მარტის სხდომის გადაწყვეტილებით, შპს სამთო კომპანია „ალგეთი“ წარმოადგენდა შპს „საწარმოთა რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდ „პროგრესი“-ს პარტნიორს და მისი დავალებით, 1999 წლის 10 მარტის №3 ხელშეკრულების შესაბამისად, ასრულებდა წიაღსარგებლობის ლიცენზიის პირობებს და ახორციელებდა ურთიერთობას სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციებთან.

კომპანიამ მანგანუმით დატვირთული პირველი ვაგონები თეთრიწყაროს სარკინიგზო სადგურიდან 1999 წლის 5 მაისს გაგზავნა და 1 ივლისისათვის 1800 ტონა მანგანუმის კონცენტრატი მიაწოდა ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას,

¹ სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი #2038 13.07.2006

წიაღისეულის მოპოვების საპროექტო დოკუმენტაციაზე კი ერთი თვის შემდეგ, 1999 წლის 4 ივნისს გაუფორმა ხელშეკრულება შპს „სამთო-ეკოლოგიურ ცენტრს“, თეთრიწყაროს ჯგუფის მანგანუმის მადანგამოვლინების ჩიკვთის, სამშვილდის, სამების, ბოგვის, თეთრიწყაროსა და ალგეთის უბნებზე გეოლოგიური სამუშაოებისა და მადნის თანმხვედრი მოპოვების პროექტების შემუშავებაზე.²

ამ პროექტების მიხედვით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭოს მიერ გაცემული №0229 ლიცენზიის შესაბამისად, შპს „ალგეთის“ მიერ 1999 წელს უნდა შესრულებულიყო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები მადნის თანმხვედრ მოპოვებასთან ერთად, რომელთა შედეგები საფუძვლად დაედებოდა მადნის სხეულების გეომეტრიზაციას და მადანგამოვლინებების დამუშავების საპროექტო დოკუმენტების შემუშავებას. თუმცა, სამთო კომპანია „ალგეთი“ პრესით აცხადებდა, რომ ახდენდა მანგანუმის მადნის ღია კარიერული წესით მოპოვებას ჩიკვთისა და სამშვილდის, ხოლო მადაროების საშუალებით – სხვა მადანგამოვლინებებზე: 1999 წლის 1 ივლისს ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა სამთო კომპანიის კომერციული დირექტორის წერილი, სადაც აღნიშნული იყო: *”მშენებელთა და მემონტაჟეთა ძალისხმევის შედეგად სრული ტექნოლოგიური კურსით მწყობრში ჩადგება გამამდიდრებელი ფაბრიკა, საიდანაც მანგანუმის კონცენტრატის სხვადასხვა ფრაქცია რკინიგზით გადაიტვირთება ზესტაფონის ფეროში. ...ეკოლოგიის თვალსაზრისით სამუშაოები მიმდინარეობს კანონისა და წესების სრული დაცვით. ჰუმუსური ფენა დასაწყობებულია ცალკე. როცა სამთო უბანზე მადანი გამოიღვეს და უბანი მფლობელს უნდა ჩაბარდეს, ამ დროს მოხდება მისი რეკულტივაცია და შემდეგ გადაეცემა მფლობელს. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს ღია წესით, მაგრამ უახლოეს მომავალში მოგვიწევს მიწისქვეშა გამონამუშევრებით მადნის მოპოვება.”*³ ეს იყო პირველი პუბლიკაცია, რომლითაც ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფ მოსახლეობას ეცნობა მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით,⁴ წიაღისეული ნედლეულის მოპოვება და მის გამდიდრებასთან დაკავშირებული მიწისზედა ნაგებობების მშენებლობა საქმიანობის პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რაც გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად მეწარმისაგან ითხოვდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურების სავალდებულო ჩატარებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობით; წიაღისეული ნედლეულის საკვლევი და

² თეთრიწყაროს ჯგუფის მანგანუმის მადანგამოვლინების ჩიკვთის, სამშვილდის, სამების, ბოგვის, თეთრიწყაროსა და ალგეთის უბნებზე „გეოლოგიური სამუშაოებისა და მადნის თანმხვედრი მოპოვების პროექტები“, სამთო-ეკოლოგიური ცენტრი, 1999

³ დავით კაკულია, „მცირე საბადოების სამრეწველო ათვისებას—ფართო გზა“, გაზეთი „ალგეთი“, #3, 01.07.1999

⁴ საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ 15/10/1996

სამთო სამუშაოები კი საქმიანობის მეორე კატეგორიას მიეკუთვნებოდა და გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად საჭიროებდა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობით. მაგრამ საქართველო არ იყო შეერთებული „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციას⁵ და არ არსებობდა მექანიზმები, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მოქალაქეთა მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში ინახება მხოლოდ 1999 წლის 24 აგვისტოს „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №36 თეთრიწყაროს ჯგუფის მანგანუმის მადანგამოვლინებების (სამება, ბოგვი, ალგეთი, თეთრიწყარო) შესწავლა-მოპოვების პროექტზე“,⁶ ხოლო ჩხიკეთისა და სამშვილდის მადანგამოვლინებებზე ამოღებული კარიერების თაობაზე ასეთი არ მოიპოვება.

შპს სამთო კომპანია „ალგეთმა“ მადნის მოპოვება გეოლოგიური დამიებების საფარველით დაიწყო, რითაც თავი აარიდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, ხოლო საზოგადოების ინფორმირებასა და მონაწილეობაზე არავის უფიქრია, რამდენადაც გადაწყვეტილებები იმ დროს მხოლოდ ხელისუფლების კულუარებში მიიღებოდა.

თეთრიწყაროს მოსახლეობა არაერთმნიშვნელოვნად შეხვდა მანგანუმის მოპოვების დაწყებას, ნაწილი მიესალმა დასაქმების შანსის გაჩენას, სხვები გამოთქვამდნენ შიშს, რომ კარიერული წესით მოპოვებისას და გადაუხურავი მანქანებით დასახლებული პუნქტების გავლით მისი ტრანსპორტირებისას მადნის მიმობნეული მტვერი, რომელშიც შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე კომპონენტებიც ყოფილიყო, დააბინძურებდა გარემოს. ეს ეჭვი გააძლიერა იმ ზაფხულს ს.ჩხივთაში ბოსტნეულის მასობრივმა დაზიანებამ. ასევე არაფერი იყო ცნობილი იმაზე, თუ რას უპირებდა კომპანია მადნის გარეცხვის შემდეგ წყალს: ჩაუშვებდა თუ არა გამამდიდრებელი ფაბრიკიდან მის მახლობელ მდინარე ჭივჭავში. გარემოს შესაძლო დაბინძურების თაობაზე ამგვარი შეშფოთების გამო თეთრიწყაროელებმა ამ საკითხისადმი ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა გადაწყვიტეს.

⁵ საქართველოს ტერიტორიაზე ძალაში შევიდა 2001 წლის 30 ოქტომბერს

⁶ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #36 თეთრიწყაროს ჯგუფის მანგანუმის მადანგამოვლინებების (სამება, ბოგვი, ალგეთი, თეთრიწყარო) შესწავლა-მოპოვების პროექტზე, 24.08.1999

1999 წლის 4-დან 14 ივლისამდე 245 მოქალაქის მიერ ხელმოწერილი პეტიცია, საკითხის შესწავლის თხოვნით, ახალგაზრდების ჯგუფმა: ვაჟა წიკლაურმა, სულიკო აბულაძემ, სერგო დოსტიბეგიანმა და ლაშა გონგაძემ გადასცა რაიონული საკრებულოს მდივანს, მამუკა აბულაძეს.⁷ 1999 წლის 18 ივლისს მათ ერთად დააფუძნეს არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე კავკასია”.⁸

მოქალაქეების მიერ მათი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით ადგილობრივი ხელი-სუფლებისათვის პეტიციით მიმართვის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი პოსტსაბჭოთა საქართველოში.

გაზეთ „ალგეთის“ იმავე ნომერში,⁹ რომელშიც „მწვანე კავკასიის“ საპროგრამო დეკლარაცია გამოქვეყნდა, სამთო კომპანია „ალგეთმა“ დაბეჭდა განცხადება: „ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ზოგიერთი არაკომპეტენტური და პროვოკატორი პირებისგან მიმდინარეობს ფსიქოლოგიური აგიტაცია იმის შესახებ, რომ თითქოსდა მანგანუმის მადანი წარმოადგენს რადიაციურ ნივთიერებას, რომელიც იწვევს კლიმატურ ცვლილებებს, ადამიანებში ონკოლოგიურ დაავადებებს და სხვა. აღნიშნულ ფაქტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც შეგნებულად მონაჭორის გავრცელებას, ცილისწამებასა და მავნებლობას მიმართულს არა მარტო მოსახლეობისა და სამთო კომპანიის წინააღმდეგ, არამედ ქვეყნის მრეწველობის წინააღმდეგ საქართველოს ეკონომიკის შესუსტების მიზნით. ჩვენ მივმართავთ მოსახლეობას, რომ მანგანუმის მადანს არ გააჩნია არავითარი რადიაციული თვისებები და არ იწვევს არავითარ მავნე ზემოქმედებას ადამიანებსა და გარე სამყაროზე. ამასთანავე, ნუ აჰყვებიან ზოგიერთ უმეცარ ვაიპატრიოტთა მონაჭორებს“. ანალოგიური ბრალდებები გაისმოდა მათი მხრიდან შემდგომშიც ადგილობრივი გაზეთებით,¹⁰ საპასუხო პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად კი „მწვანე კავკასიისათვის“ მედიის კარები დაიხურა.

ორგანიზაციის დამფუძნებლები პირველი პეტიციის ორგანიზებას ასე იხსენებენ: „შემდგომში აღმოჩნდა, პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება უყურადღებოდ არ დარჩენილა და დაიგეგმა მასში ყალბი ხელმოწერების „შეპარება“. გამოჩნდნენ „მოხალისეები“ და მოგვიტანეს ერთიდაიგივე ხელით შესრულებული ხელმოწერები, რომლებიც დავიწუნეთ და სათვალავში არ ჩავთვალეთ, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ჩვენ ვიცოდით, პროკურატურა კი შემდგომში საექვო დაჟინებით ითხოვდა პეტიციის დედანს“.

⁷ ქ.თეთრიწყაროს მოსახლეობის პეტიცია თეთრიწყაროში მანგანუმის მოპოვების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესწავლის მოთხოვნით, 4-14 ივლისი, 1999 წელი

⁸ „მწვანე კავკასიის“ დამფუძნებელი კრების ოქმი

⁹ გაზეთი „ალგეთი“, #6, 22.07.1999

¹⁰ „სამთო კომპანიას პერსპექტივები საკმაოდ გააჩნია“, გაზეთი „დიდგორი“ #3 (8615), 1-7.10.1999

სამთო კომპანიამ, Strategic Law Suits Against Public Participation (SLAPP) პრინციპით, სარჩელი პროკურატურაში შეიტანა, რომლის დაიწყო ე.წ. წინასწარი მოკვლევა საკრებულოს მდივნის პროკურატურაში უწყებით გამოძახებითა და მისგან პეტიციის დედნის მოთხოვნით, რაზედაც უარი მიიღო.¹¹



იმ დროს არ არსებობდა პეტიციის შესახებ რაიმე საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც ავალდებულებს საკრებულოს მის განხილვას (მუხლი პეტიციის შესახებ მხოლოდ 2010 წელს იქნა შეტანილი ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“). მიუხედავად ამისა, რაიონულმა საკრებულომ 1999 წლის 20 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში შეიტანა საკითხის განხილვა. მამუკა აბულაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო პეტიციის დედანი. სიტყვით გამოსვლა მან ასე დაასრულა: „მავანმა ჩვენი სურვილი, გვეკონდეს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია იმ გარემოს შესახებ, რომელშიც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებული ეს უფლება, რბილად რომ ვთქვათ, არაადექვატურად გაიგო. იყო მუქარის, ხელის შეშლის, პროვოკაციული ანკეესების გადმოგდების, საზოგადოების თვალში დისკრედიტაციის მცდელობები სხვადასხვა მხრიდან. ... კონსტიტუციურ უფლებებში შეზღუდვა, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესის შეჩერება შეუძლებელი იქნება ლანძღვა-გინების კორიანტელით ან პროკურატურაში ჩივილით. მომავალმა განსაჯოს მტყუან-მართალი და ღმერთმა ისე მოუმართოს ყველას ხელი თავის საქმესა და ცხოვრებაში, ბიზნესმენი იქნება ეს თუ მოხელე, როგორი სინდისითაც ის დატოვებს თავის ნამოღვაწარს თუ ნააგვაცარს ამ ქვეყანაში“.¹²


თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს „თეთრიწყაროს რაიონში მანგანუმის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემსწავლელი დროებითი კომისიის“ შექმნას.

საკრებულოს დადგენილებით, მანგანუმის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემსწავლელი დროებითი კომისიის შემადგენლობაში, საკრებულოს წევრების გარდა, შევიდნენ „მწვანე კავკასიისა“ და სამთო კომპანიის წარმომადგენლებიც, ხოლო კომისიის თავმჯდომარედ მამუკა აბულაძე აირჩიეს.¹³

¹¹ თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს მდივნის მ.აბულაძის წერილი რაიონის გამგებელს 19.08.1999

¹² თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს სხდომის ოქმი #7, 20.08.2009

¹³ თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს 20.08.2009 დადგენილება #7/3 “თეთრიწყაროს რაიონში მანგანუმის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემსწავლელი დროებითი კომისიის” შექმნის შესახებ



კომისიის მუშაობის დაწყებას სამთო კომპანია აჭიანურებდა თავისი წარმომადგენლების დანიშვნის დაგვიანებით, ამასობაში კი პროკურატურა კვლავ ცდილობდა პეტიციის დედნის მოპოვებას.

რაიონის პროკურორმა წერილით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „...ჩვენს წარმომებაში არსებულ განცხადებაზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად გთხოვთ გადმოგვიგზავნოთ ზემოაღნიშნული კოლექტიური განცხადების დედანი ხელმოწერებთან ერთად“¹⁴ რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარემ უარი შეუთვალა: „განცხადება აწერია მ.აბულაძეს, მიღებული ზომების შესახებ ანგარიში

ბარდება მხოლოდ საკრებულოს და ამომრჩევებს. ხელმომწერთა კონფიდენციალობაზე მ.აბულაძეს ჩაბარებული აქვს ხელწერილი, რის უფლებასაც იძლევა კანონი“¹⁵ ამ გზით რომ ვერ მიიღო პეტიცია, გამომძიებელმა მიმართა ორგანიზაციის წევრების დაკითხვებით დამანტაჟებას - პროკურატურაში გამოიძახეს და დაკითხეს ორგანიზაციის გამგეობის წევრები, რამდენიმე ხელმომწერს გამომძიებელი ბინაზე ესტუმრა და აიძულებდა „მწვანე კავკასიას“ გამგეობის წევრების საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას.¹⁶

მოსახლეობის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მანგანუმის მოპოვება დაიწყო სამების მთის ჩრდილოეთ კალთაზე კარიერის ამოღებით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე იგეგმებოდა ბურღვა-აფეთქებებით ანალოგიური ქვაბულის ამოღება,¹⁷ რაც ამ მთის უნიკალურ ლანდშაფტს დანგრევით ემუქრებოდა. მოსახლეობის პროტესტი საგაზეთო წერილის მეშვეობით გამოხატა სოფელ ჩხიკვთის მცხოვრებმა ქიტო ბაიდარაშვილმა და მკითხველს შეახსენა, რომ ეს მთა, მისი უნიკალური გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურ შენების გამო, ბუნების ძეგლის სტატუსით შეტანილი იყო საქართველოს სსრ წითელ წიგნში.¹⁸

¹⁴ რაიონის პროკურის გ.ლობჯანიძის წერილი საკრებულოს თავმჯდომარეს გ.მესტვირიშვილს #35გ-99 13.09.2009
¹⁵ საკრებულოს თავმჯდომარის გ.მესტვირიშვილის წერილი რაიონის პროკურორს #26 17.09.2009
¹⁶ თეთრიწყაროს რაიონში მანგანუმის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარის წერილი რაიონის პროკურორს და რაიონის გამგებელს #4, 20.09.2009
¹⁷ თეთრიწყაროს ჯგუფის მადანგამოვლინებების გეოლოგიურ-სამიეზო სამუშაოების ჩატარებისა და მადნის თანმხვედრი მოპოვების 1999 წლის IV კვარტლის და 2000 წლის სამთო სამუშაოების განვითარების გეგმა, სექტემბერი, 1999
¹⁸ ქიტო ბაიდარაშვილი, “ჩხიკვთის სამება”, გაზეთი “ალგეთი”, #14, 16.09.1999

კომპანიას უკვე მიღებული ჰქონდა თითქმის ყველა საჭირო ნებართვა ქვაბულის ამოსათხრელად,¹⁹ მაგრამ ხეების მოჭრის ნებართვის გაცემაზე მტკიცე უარი საჯაროდ განაცხადა სატყეო დეპარტამენტის ადგილობრივი სამსახურის ხელმძღვანელმა არჩილ წიკლაურმა და დაასაბუთა ეს იმით, რომ ტყის გაჩეხვა გამოიწვევდა ქვიშაქვებისგან შემდგარი მთის ლანდშაფტის განადგურებას. ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მოსახლეობის აზრისათვის და მეწარმეებს სთხოვა, თავი შეეკავებინათ კარიერის ამოღებისაგან. ამის გამო სამთო კომპანიამ მადნის მოპოვება გვირაბის მეშვეობით მოახდინა და სამების მთის უნიკალური ლანდშაფტი დაზიანებას გადაურჩა.



სამების მთის სამხრეთ-დასავლეთი კალთა

¹⁹ სახელმწიფო ტექნოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე #11-14/12, 20.09.1999

მანგანუმის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემსწავლელი დროებითი კომისიის მუშაობა კონფლიქტურ მხარეებს შორის გარკვეული კომპრომისით დასრულდა: სამთო კომპანია „ალგეთის“ წარმომადგენლებმა კომისიის წევრებს გააცნეს ინფორმაცია მადნის შემადგენლობის ძირითადი კომპონენტების თაობაზე, 1999 წლის 21 ივლისის „დასკვნა მაიონიზირებელი რადიაციული ფონისა და რადიოაქტიური ელემენტების შემცველობის შესახებ თეთრიწყაროს ჯგუფის მანგანუმის მადანგამოვლინებების ჩხიკვთისა და სამშვილდის უბნებზე“²⁰ და დაათვალიერებინეს ქ.თეთრიწყაროს სარკინიგზო სადგურთან აშენებული მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა,²¹ სადაც ტექნოლოგიური პროცესი აწყობილ იქნა წყლის სრული ჩაკეტილი ციკლით, რაც გამორიცხავდა მადნის ნარეცხი წყლის გარემოში გადაღვრას. აგვისტოს ბოლოს სამთო კომპანიამ მუშებს დაურიგა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (რესპირატორები) და დაიწყო საშხაპეს მოწყობა ქარხანაში, თუმცა მანადე უარყოფდა მანგანუმის მადნის მტვრის ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შესაძლებლობას. კომისიამ გამოიტანა კომპრომისული დასკვნა,²² რის შემდეგაც პროკურატურამ შეწყვიტა „მწვანე კავკასიის“ წევრების სამართლებრივი დევნა. შპს სამთო კომპანია „ალგეთი“ თეთრიწყაროს ტერიტორიაზე მანგანუმს მოიპოვებდა 2000 წლის ოქტომბრამდე.

²⁰ „დასკვნა მაიონიზირებელი რადიაციული ფონისა და რადიოაქტიური ელემენტების შემცველობის შესახებ თეთრიწყაროს ჯგუფის მანგანუმის მადანგამოვლინებების ჩხიკვთისა და სამშვილდის უბნებზე“ 21.07.1999

²¹ თეთრიწყაროს რაიონში მანგანუმის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემსწავლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმები №1 02.10.1999, №2. 12.10.1999

²² თეთრიწყაროს რაიონში მანგანუმის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შემსწავლელი დროებითი კომისიის დასკვნა, 12.10.1999